სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება **„აგიპ ოილი"** (ს/კ 426125962) წარმომადგენელი ვლადიმერ ცხვიტარიას (პ/ნ 01025014054)


ელ.ფოსტა. ladotskhvitaria@gmail.com
მობ: 595 78-58-38


სკრინინგის განცხადება

გაცნობებთ, რომ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება **„აგიპ ოილი"** გეგმავს ავტოგასამართი სადგურის მშენებლობას თხევადი საწვავით (ბენზინი, დიზელის საწვავი). ავტოგასამართი სადგურის მშენებლობა იგეგმება **ბორჯომის რაიონი, სოფელი ზანავი,** მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი **64.22.03.596**, (GPS კოორდინატში X=370325.00; Y=4638878.00), რომლის წლიური მაქსიმალური ჯამური რაოდენობა მოსალოდნელია 10220 მ³ ოდენობით, საიდანაც 5475 მ³ დიზელის საწვავი და 4745 მ³ ბენზინის საწვავი.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს მე-7 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად ავტოგასამართი სადგურის მშენებლობასთან დაკავშირებით, რომელიც ამავე კოდექსისი მე-2 დანართის 6.3 პუნქტის თანახმად (ნავთობისა და ნავთობპროდუქტის, ნავთობქიმიური ან/და ქიმიური პროდუქტის საცავის მოწყობადა ექსპლუატაცია) ექვემდებარება სკრინინგის პროცედურების გავლას, წარმოგიდგენთ განცხადებას სკრინინგის პროცედურის გასავლელად თქვენი შენიშვნების გათვალისწინებით და გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

პატივისცემით

ვლადიმერ ცხვიტარია
მინდობილი პირი

დანართი: 1. სკრინინგის ანგარიში;
განხორციელების ადგილის GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატები (shp-ფაილთან ერთად);

დანართი: 2. მინდობილობა;

გარემოს ეროვნული სააგენტო
10 · 04 · 2023
№ 3056

დანართი: 2. მინდობილობა;



სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

03953405816122

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

**იურიდიული პირის (ასევე, ინდივიდუალური მეწარმის მიერ) მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება**

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

**N221312905**

რეგისტრაციის თარიღი

**28.09.2022 წ**

ნოტარიუსი: სალომე გვარჯალაძე
მისამართი: ქ. ბორჯომი, რუსთაველის ქ.N145
ტელეფონი: 577-16-88-65

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

## სანოტარო აქტი
## საქართველო

ორი ათას ოცდაორი წლის ოცდარვა სექტემბერს მე, ნოტარიუს სალომე გვარჯალაძეს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს ქ. ბორჯომი, რუსთაველის ქ. N145, მომმართა: შპს „აგიპ ოილი"-ს (ს/კ-426125962, რეგისტრაციის თარიღი: 22.09.2022; მარეგისტრირებელი ორგანო: სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო; ამონაწერის რეგისტრაციის ნომერი B22118641 მომზადების თარიღი 22.09.2022 12:29:42) დირექტორმა ქმედუნარიანმა და სრულწლოვანმა პირმა ბატონმა ზაზა ზედგინიძემ (დაბ. 02.11.1974წ ბორჯომი, პ/ნ 01023007846; საცხ. მის. ბორჯომი დ. ბაკურიანი ნ.ქუმარიტაშვილის ქ. N 34) და განაცხადა რომ სურდა ვლადიმერ ცხვიტარიასათვის მიენიჭებინა გარკვეული უფლებამოსილებანი და მოითხოვა უფლებამოსილებათა მინიჭების აქტის (მინდობილობის) შედგენა და სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მისი პირადობა, უფლებამოსილება, ქმედუნარიანობა და ნების გამოვლენის ნამდვილობა. მე დავადგინე მინდობილობის შინაარსი და შემდეგ შევადგინე მინდობილობა წავუკითხე და განვუმარტე მიმნდობს. მან განაცხადა, რომ წინამდებარე მინდობილობა ზუსტად გამოხატავს მის ნებას, ხოლო შემდეგ ჩემი თანდასწრებით მოაწერა ხელი შემდეგ მინდობილობას:

## მინდობილობა

ორი ათას ოცდაორი წლის ოცდარვა სექტემბერს შპს „აგიპ ოილი"-ს (ს/კ-426125962) წარმოდგენილი დირექტორის ზაზა ზედგინიძის (პ/ნ-01023007846) მიერ რომელიც შემდგომში მოხსენიებულია როგორც „მიმნდობი" ვლადიმერ ცხვიტარიას (დაბ. 28.04.1984წ თბილისი, პ/ნ-01025014054) რომელიც შემდგომში მოხსენიებულია როგორც „მინდობილი" მიანიჭა უფლებამოსილება შპს „აგიპ ოილი"-ს (ს/კ-426125962) კუთვნილ უძრავ ნივთზე მდებარე რაიონი ბორჯომი სოფ. ზანავი (ს/კ 64.22.03.596) აწარმოოს მშენებლობის ნებართვის აღებასთან, პროექტის მიღებასთან, პროექტირებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მოქმედებები, აიღოს ნებართვები, შეათანხმოს პროექტი, შეიტანოს ნებისმიერი სახის ცვლილებები, კორექტირებები პროექტში, განახორციელოს სანებართვო დოკუმენტაციის გადაგზავნა და მიღება, იყოს ჩემი წარმომადგენელი ნებისმიერ სახელმწიფო თუ კერძო ორგანიზაციებში, მათ შორის: ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიაში, არქიტექტურის სამსახურში, ზედამხედველობის სამსახურში, ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურში, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში, ნებისმიერ კომუნალური მომსახურების, საკომუნიკაციო კომპანიაში, დადოს, შეიტანოს ცვლილება ან გააუქმოს მომსახურების ხელშეკრულება, აწარმოოს ელექტრონული საქმის წარმოება, მიიღოს ან/და წარადგინოს ნებისმიერი სახის და შინაარსის დოკუმენტაცია, ცნობები, განცხადებები, შუამდგომლობები, გაასაჩივროს მიღებული გადაწყვეტილებები, გასცეს თანხმობები, ხელი მოაწეროს საჭირო დოკუმენტაციას და შეასრულოს ყველა ის მოქმედება რაც საჭიროა ამ დავალების შესასრულებლად.

<u>მინდობილობის მოქმედების ვადა:</u> მიმნდობს უფლება აქვს ნებისმიერ დროს გააუქმოს ეს მინდობილობა, მინდობილობა ძალაშია ორი ათას ოცდასამი წლის ოცდარვა მარტის ჩათვლით.

<u>მინდობილების ძალმოსილება:</u> მინდობილობა ძალაში შედის მასზე ხელმოწერისა და მისი სანოტარო წესით დამოწმებისთანავე.

<u>მინდობილობის ეგზემპლარების რაოდენობა:</u> წინამდებარე მინდობილობა შედგენილია სამ (3) თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი (1) ინახება ჩემს, ნოტარიუს სალომე გვარჯალაძის სანოტარო არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცა მინდობილობის გამცემს.

<u>მინდობილობის დანართი :</u> იმ ეგზემპლარს რომელიც რჩება სანოტარო არქივში თან ერთვის შპს „აგიპ ოილი"-ს (ს/კ-426125962) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან რეგისტრაციის თარიღი: 22.09.2022; მარეგისტრირებელი ორგანო: სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო; ამონაწერის რეგისტრაციის ნომერი B22118641 მომზადების თარიღი 22.09.2022 12:29:42

<u>სანოტარო მომსახურების საზღაური:</u> მიმნდობმა გადაიხადა მიმნდობმა გადაიხადა სანოტარო მომსახურების საზღაური საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის N507-ე დადგენილების 31.7-ე მუხლისა 30.00 /ოცდაათი/ ლარი, 5.00 /ხუთი/ ლარი თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის N507-ე დადგენილების 39-ე მუხლისა, სულ გადახდილია 35.00 /ოცდათხუთმეტი/ ლარი.

მიმნდობი შპს „აგიპ ოილი"-ს დირექტორი ზაზა ზედგინიძე

ნოტარიუსი ______________ /სალომე გვარჯალაძე/